INSTITUT FÜR GEORGISCHES, DEUTSCHES UND
INTERNATIONALES STRAFRECHT

Dr. BACHANA JISHKARIANI, LL.M. (München)

Assoziierter Professor

STRAFTAT UND STRAFE

EINE KURZE EINFÜHRUNG

TBILISI, 2018
The University of Georgia Press

ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის
სამართლის ინსტიტუტი

ბაჩანა ჯიშკარიანი, LL.M. (München)

სამართლის დოქტორი (მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის
სახელობის უნივერსიტეტი), ასოცირებული პროფესორი

დანაშაული და სასჯელი

მოკლე შესავალი

თბილისი, 2018
საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

© ბაჩანა ჯიშკარიანი, 2018

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა

მ. კოსტავას №77ა
0171, თბილისი

ISBN 978-99940-50-67-3

წინათქმა

სისხლის სამართალი სამართლის ის დარგია, რომელიც საკმაოდ ფრთხილ მიდგომას საჭიროებს, ვინაიდან მასში გათვალისწინებული სასჯელები ყველაზე მეტად იჭრება ადამიანის პირად თავისუფლებაში. აღნიშნული პატარა ნაშრომის მიზანია მკითხველს გააცნოს სისხლის სამართალი და მასთან დაკავშირებული დანაშაულისა თუ სასჯელების ინსტიტუტები. ეს არის ერთგვარი შესავალი, რომელიც იძლევა ამ დარგის ძირითადი ასპექტების გააზრების შესაძლებლობას მოკლე მაგალითების საფუძველზე, სადაც მარტივი ენით საუბარია არა მხოლოდ ზოგად, არამედ პროცედურულ საკითხებზეც. ის განკუთვნილია როგორც სამართლის სფეროთი დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის, ასევე დამწყები იურისტებისთვის. ნაშრომი მათ დაეხმარება დანაშაულისა და სასჯელის ცნებების გააზრებაში.

ბაჩანა ჯიშკარიანი, LL.M. (Munich)
სამართლის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
ქართული, გერმანული და საერთაშორისო
სისხლის სამართლის ინსტიტუტის
ხელმძღვანელი
თბილისი, ივნისი, 2018

შინაარსი

1. სისხლის სამართალი, როგორც
სამართლის დარგი 7

1.1. სისხლის სამართლის ამოცანები 7

1.2. სისხლის სამართლის გამიჯვნა
სამართლის სხვა დარგებისგან 12

2. დანაშაულის ცნება და მისი
გამოვლინების ფორმები 15

2.1. დანაშაულის აგებულება
და მისი ელემენტები 15

2.2. ცალკეული დანაშაულების ზოგადი
მიმოხილვა 20

3. სისხლის სამართლის პროცესი 31

3.1. მხარეები სისხლის სამართალში 31

3.2. სასამართლო 37

4. სასჯელი, როგორც რეაქცია
ჩადენილ დანაშაულზე 41

4.1. სასჯელის მიზნები 41

4.2. სასჯელის სახეები 44

4.3. სასჯელის აღსრულება 46

5. შეჯამება 48

1. სისხლის სამართალი, როგორც სამართლის დარგი

1.1. სისხლის სამართლის ამოცანები

სისხლის სამართალი სამართლის ერთ-ერთი ის დარგია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივ ყოველდღიურობაში. მასმედია და სოციალური ქსელებიც მას საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობენ, ვინაიდან ის დაკავშირებულია დანაშაულებთან (მკვლელობა, გაუპატიურება, ყაჩაღობა და ა.შ.), რაც ბუნებრივია, რეზონანსს იწვევს და მეტ ყურადღებას იქცევს. ინდივიდის ცხოვრებაში კერძოსამართლებრივი ურთიერთობები ბევრად უფრო რელევანტურია, ვინაიდან თუნდაც ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება, თხოვება და მსგავსი ურთიერთობები პირმა დღეში რამდენიმეჯერ შეიძლება დაამყაროს, მაგრამ ეს თემები, გარდა დიდი გარიგებებისა, რომლებშიც უზარმაზარ თანხებზეა საუბარი, სხვებისთვის ნაკლებად საინტერესოა. თუ იგივე პირი დანაშაულს ჩაიდენს, მაშინათვე გახდება ფართო განხილვის საგანი. სწორედ აქედან გამომდინარეობს სწავლების საწყის ეტაპზე, მაგალითად, სტუდენტებში სისხლის სამართალთან მიმართებაში დიდი ინტერესი, ვინაიდან ეს მათთვის თუნდაც ბევრ ცნობილ ფილმთან ასოცირდება.

სისხლის სამართალი, საჯარო და სამოქალაქო სამართალთან ერთად ქმნის, სამართლის სისტემას. ფართო გაგებით, ის საჯარო სამართლის შემადგენელი ნაწილია, თუმცა, მან სასამართლო პრაქტიკისა და დოქტრინის განვითარების შედეგად განცალკევებული დარგის სახე მიიღო.[1]

1 Heinrich, B., Strafrecht-Allgemeiner Teil, 3. Auflage, Stuttgart 2012, Rn. 1.

ქართულ სისხლის სამართალს განვითარების საკმაოდ დიდი ისტორია აქვს და ის ჯერ კიდევ ადრე-ფეოდალური ხანიდან, V-VI საუკუნეებიდან იწყება.[2] მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ბაგრატ კურაპალატის სამართალი, რუის-ურბნისის საეკლესიო დადგენილება, გიორგი ბრწყინვალის ეპოქის „ძეგლის დადება“ და ა.შ.[3] დღევანდელი ქართული სისხლის სამართალი ეფუძნება 1999 წელს მიღებულ სისხლის სამართლის კოდექსს, რომელიც საერთაშორისო და ევროპული სამართლის პრინციპებს ეყრდნობა. ის ძალაში 2000 წელს შევიდა. მანამდე, საბჭოთა პერიოდში, საქართველოში მოქმედებდა საბჭოთა კოდექსები. ისინი კომუნისტურ იდეოლოგიას ეფუძნებოდა და ადამიანის უფლებებს ფორმალურად თუ ექცეოდა ყურადღება. მათი მთავარი მიზანი იყო არსებული იდეოლოგიის დაცვა.[4]

ზოგადად, სისხლის სამართლის უმთავრესი ფუნქციაა სამართლებრივი სიკეთის, იგივე სამართლებრივი ინტერესების დანაშაულებისგან დაცვა.[5] ის თავისი მექანიზმებით, კერძოდ, სასჯელებით, სოციალური მშვიდობის შენარჩუნებას

---

2 ტყეშელიაძე, გ., სახელმძღვანელოში: ნაჭყებია, გ., თოდუა, ნ. (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2016, 13.

3 დაწვრ. იხ. იქვე, 14 და შემდეგი.

4 დაწვრ. იხ. ჯიშკარიანი, ბ., ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში, თბილისი, 2013, 60, აბზ. 101 და შემდეგი.

5 ტურავა, მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამ., თბილისი, 2013, 16.

უზრუნველყოფს. სისხლის სამართლის გარეშე საზოგადოების წევრებს შორის მშვიდობის შენარ-ჩუნება მათსავე კეთილგონიერებაზე იქნებოდა დამოკიდებული, რაც საბოლოო ჯამში მაინც ქაოსამდე მიგვიყვანდა.[6] სისხლის სამართლის მიზანი მხოლოდ იმაში არ მდგომარეობს, რომ დამნაშავე პირები დაისაჯონ და ამ გზით იქნას სამართლიანობა აღდგენილი, არამედ მასში არსებული სასჯელები წინასწარ ასრულებენ გარკვეულ დამაშინებულ ფუნქციას, რის გამოც ადამიანთა დიდი ნაწილი საერთოდ თავს იკავებს დანაშაულის ჩადენისგან.[7] თუ პირმა სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნა არ შეასრულა და დანაშაული მაინც ჩაიდინა, მაშინ მას სახელმწიფო აიძულებს თავის თავზე განიცადოს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გზით სასჯელის ზემოქმედება.[8] ამასთანავე, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ სისხლის სამართალი არ არის ისეთი ყოვლისშემძლე საშუალება, რომლითაც შეესაძლებელია დანაშაულების სრულად აღმოფხვრა და იდეალური წესრიგის შენარჩუნება, თუმცა, ის მეტნაკლებად უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების დონის მიხედვით სტაბილურობას.[9]

---

6 Stree/Kinzig, კომენტარებში: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, 29. Auflage, München, 2014, Vorbemerkungen zu den §§ 38ff., Rn. 1.

7 Stree/Kinzig, კომენტარებში: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, 29. Auflage, München, 2014, Vorbemerkungen zu den §§ 38ff., Rn. 1.

8 ნაჭყეპია, გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 9 და შემდეგი.

9 გამყრელიძე, ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. III, თბილისი, 2013, 7.

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართალი დაკავშირებულია დანაშაულისა და სასჯელის ცნებებთან. დანაშაულს ჩვენ სამართლის სხვა ვერცერთ დარგში ვერ შევხვდებით. დანაშაულია მხოლოდ ის, რაც სისხლის სამართლის ნორმის დარღვევაში გამოიხატება. საინტერესოა თვითონ ტერმინ „სისხლის სამართლის" წარმოშობა. ის დაკავშირებულია ადრე გავრცელებულ სისხლის აღებასთან.[10] მოგვიანებით ტერმინმა „სისხლი" თავისი მნიშვნელობა შეიცვალა და ის დანაშაულისთვის ქონებრივი საზღაურის სანაცვლოდ გვევლინება („სისხლის გადასახდელი").[11] გამოდის, რომ სისხლის სამართალი იგივე სასჯელის სამართალია და ის განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა დავსაჯოთ დამნაშავე.[12]

დავუბრუნდეთ სისხლის სამართლის ძირითად ამოცანას, სამართლებრივი სიკეთის დაცვას. ორი სახის სამართლებრივი სიკეთეები შეგვიძლია გამოვყოთ: ინდივიდუალური, როგორიცაა მაგ. სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება, სქესობრივი თავისუფლება და საყოველთაო, მაგ. ფულის მიმოქცევა, მართლმსაჯულება. განსხვავება მათ შორის მდგომარეობს იმაში, რომ პირველი ჯგუფის სიკეთეები ცალკეულ ინდივიდებს ეკუთვნის, ხოლო მეორე ჯგუფის კი საერთოა.[13] სწორედ ამ სიკე-

10 ნაჭყებია, გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 10.

11 გამყრელიძე, ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. III, თბილისი, 2013, 11.

12 იქვე, 11.

13 Kasiske, P., Strafrecht I: Grundlagen und allgemeiner Teil, Stuttgart, 2011, Rn. 6.